ნდობის ჯგუფის კონტროლი დაზვერვის სამსახურზე

ელდარ ჯავახიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო სამართლისა და პოლიტიკის ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ვახტანგ მენაბდე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ელდარ ჯავახიძე

აბსტრაქტი

ნაშრომი ეძღვნება საქართველოს დაზვერვის სამსახურზე საპარლამენტო ზედამხედველობის მოქმედი მოდელის კრიტიკულ ანალიზს და მის შედარებას ფინეთისა და ნორვეგიის სამართლებრივ პრაქტიკებთან. კვლევის მიზანია, გამოავლინოს არსებითი ხარვეზები საქართველოს პარლამენტის ნდობის ჯგუფის უფლებამოსილებებსა და ინსტიტუციურ ძალაუფლებაში, და შეაფასოს, რამდენად უზრუნველყოფს არსებული სისტემა დემოკრატიულ სტანდარტებთან შესაბამის ზედამხედველობას.

კვლევისთვის გამოყენებულია შედარებით-სამართლებრივი მეთოდი, რომლის ფარგლებშიც შესწავლილია საქართველოს, ფინეთისა და ნორვეგიის კანონმდებლობა და რეგლამენტები. განხილულია საერთაშორისო რეკომენდაციები და დოკუმენტები (გაერო, ვენეციის კომისია, ეუთო/ოდირი), ასევე გამოყენებულია თეორიულ-ნორმატიული და პრაქტიკული ანალიზი. ნაშრომი იკვლევს დოკუმენტურ მასალებს და პრობლემებზე ორიენტირებულ შეფასებებს, რაც იძლევა ინტეგრირებულ ხედვას როგორც სამართლებრივი, ისე ინსტიტუციური ასპექტების შესახებ.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ნდობის ჯგუფს არ გააჩნია საკმარისი ინსტიტუციური ავტონომია, სრულყოფილი წვდომა დაზვერვის ფარულ საქმიანობაზე და სამართლებრივი ბერკეტი ინფორმაციის მიღებაზე უარის შემთხვევაში. საკანონმდებლო ჩარჩო მას არ აძლევს რეალურ შესაძლებლობას, უზრუნველყოს კონსტიტუციური ზედამხედველობა დაზვერვის სამსახურზე, რაც აფერხებს კონტროლის მექანიზმის ეფექტიანობას. შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ ფინეთისა და ნორვეგიის მოდელები უზრუნველყოფენ სრულ წვდომას,

ინფორმაციის სამართლებრივ დაცვას და მყარი სანქციური მექანიზმების არსებობას ზედამხედველობის დასაცავად.

ნაშრომი ასკვნის, რომ საქართველოს მოდელს სჭირდება სისტემური რეფორმა: ნდობის ჯგუფის სტატუსის განმტკიცება, კონტროლის რეალური ბერკეტების მინიჭება, ინფორმაციის მიწოდებაზე სამართლებრივი დაცვის გარანტიები და ფარულ საქმიანობაზე პოსტ-ფაქტუმ ზედამხედველობის შესაძლებლობა. ეს რეფორმები არის აუცილებელი საქართველოს უსაფრთხოების სექტორის დემოკრატიული ლეგიტიმაციისთვის და ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფისთვის.

საკვანძო სიტყვები: დაზვერვის სამსახური, ნდობის ჯგუფი, საპარლამენტო კონტროლი, ფარული საქმიანობა, დემოკრატიული ზედამხედველობა, სახელმწიფო უსაფრთხოება, ფინეთის მოდელი, ნორვეგიის მოდელი

Abstract

This thesis critically analyzes the current model of parliamentary oversight over Georgia's intelligence service, comparing it to the legal frameworks of Finland and Norway. The objective of the research is to identify systemic shortcomings in the powers and institutional authority of the Trust Group of the Parliament of Georgia and to evaluate whether the existing structure ensures parliamentary accountability in line with democratic standards.

The research adopts a comparative legal methodology, examining the national legislation and procedural regulations of Georgia, Finland, and Norway. It also incorporates international recommendations and documents from bodies such as the United Nations, the Venice Commission, and OSCE/ODIHR. The study employs theoretical-normative and problem-based analytical approaches, combining legal interpretation with an evaluation of institutional practice. A review of documentary evidence and expert opinions provides a comprehensive understanding of both normative and operational aspects.

The findings demonstrate that the Trust Group lacks sufficient institutional autonomy, access to classified intelligence operations, and legal mechanisms to challenge the denial of requested information. The current legal framework fails to empower the parliamentary oversight body to conduct substantive review of intelligence activities, which undermines the effectiveness of democratic control. In contrast, the Finnish and Norwegian models provide parliamentary committees with full access to relevant information, legal protections for sensitive data, and enforceable sanctions in cases of noncompliance.

The study concludes that Georgia must implement structural reforms to enhance the effectiveness of its oversight system. These reforms should include the legal institutionalization of the Trust Group as a permanent parliamentary body, the provision of binding access rights to classified activities (at least ex post), the creation of appeal and

dispute mechanisms in cases of non-disclosure, and the introduction of legal sanctions for unjustified refusals. Such measures are essential to ensure the democratic legitimacy of Georgia's security sector and uphold the rule of law and human rights.

Keywords: intelligence service, Trust Group, parliamentary oversight, classified operations, democratic accountability, national security, Finnish model, Norwegian model